ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის კომისია

სხდომის ოქმი №1

ზუგდიდი 17.02. 2021წელი

2021 წლის 17 თებერვალს ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის (2020 წლის 3.08 ბრძ.1690) კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **კონსტანტინე კაკავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე
- **ზამირა ღადუა** –ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე- კომისიის თავმჯომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

- **კობა ჯიქია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.
- **მაია ჩიტაია** --ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე- კომისიის წევრი.
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.
- **ხათუნა დარასელია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ფრიდონ თოდუა** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.
- **ლექსო თოდუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.
- **ოთარ ქადარია**--ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.
- **დავით შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდულ და გენდერული თანასწორობის საქმეთა განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის ექვსი წევრი.

- **ეკატერინე კიფაია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.
- **თამუნა ჯიქია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის თავჯდომარე - კომისიის წევრი.
- **ირუზა კაკავა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- კომისიის წევრი.

- **ნანი მიქენაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.
- **ბათლომე შელია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ევროპული საქართველოს“ ფრაქციის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.
- **ნატალია პაპასკირი**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კომისიის წევრი.

ბელა ხუბუა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომის თავმჯდომარე : კონსტანტინე კაკავა

დღის წესრიგი:

1.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ანა კოდუას განცხადების განხილვა. ანამ მონაწილეობა მიიღო გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროექტში. სადაც მაღალი ქულებით ჩაირიცხა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ანა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

2.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ა.შუშანიას ქ.N7-ში მცხოვრები, საქართველოს უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მარიამ ბულიას განცხადების განხილვა. მარიამი ერასმუს + ფარგლებში ჩარიცხულია 2020/2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ლუბლინის ტექნოლოგიის უნივერსიტეტში სამოქალაქო ინჟინერია და არქიტექტურა. მარიამი ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას.

3.განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიაში სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ია ეხვაიას შეყვანის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა

მოისმინეს:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო შემოსული განცხადებები.

აზრი გამოთქვა:

კონსტანტინე კაკავა- ყველა ნიჭიერი ახალგაზრდა იმსახურებს ჩვენს მხარდაჭერას. გავეცანი განცხადებებს და ვფიქრობ, ეს ახალგაზრდები უდაოდ ნიჭიერები და განათლებულები არიან. განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში შეტანილ იქნეს ცვლილება დაფინანსების შესახებ. სტუდენტი ვინც სწავლობს უცხოეთის უნივერსიტეტში სრულად მიიღებს დაფინანსებას 3000 ლარით, ხოლო ვინც ერთი სემესტრით გაცვლითი პროგრამით მიდის დაფინანსდეს 1500 ლარით.

ზამირა ღადუა- სწორედ რომ ეს პროგრამა მორგებულია ნიჭიერ ახალგაზრდებზე და მათ განვითარებაზე. ეს ახალგაზრდები იმსახურებენ ჩვენს მხარდაჭერას. ვეთანხმები წესში ცვლილების შეტანას.

გიგლა სულამანიძე- განცხადებები, რომლებიც წარმოდგენილია დღევანდელ კომისიაზე სრულყოფილია. ორივე ახალგაზრდა ნიჭიერია და წარმატებული.

დაადგინეს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის წევრების გადაწყვეტილებით

1. ანა კოდუას გამოეყოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
2. მარიამ ბულიას გამოეყოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1500 ლარის ოდენობით.
3. განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიაში შეყვანილ

იქნეს სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი ია ეხვაია.

4. მუხლი N6 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უცხოეთის აკრედიტებულ სასწავლებელში წარმატებული სტუდენტის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა. რომელიც ითვალისწინებს უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტის ერთჯერადად ფინანსურ ხელშეწყობას 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობთ. განისაზღვროს შემდეგნაირად 1.სტუდენტი, რომელიც სწავლობს უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში და სწავლას აგრძელებს აღნიშნულ უნივერსიტეტში დაფინანსება მოხდეს 3000 ლარის ოდენობით.

2. სტუდენტი ვინც ჩარიცხულია სემესტრული პროგრამით (I სემესტრი) უცხოეთის უნივერსიტეტში დაფინანსდეს 1500 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ცვლილება შევიდეს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში.

კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზამირა ღადუა

წევრები: კობა ჯიქია

მაია ჩიტაია

გიგლა სულამანიძე

ზაზა გაბისონია

ლექსო თოდუა

ფრიდონ თოდუა

ხათუნა დარასელია

მონიკა შამათავა

ოთარ ქადარია

დავით შამათავა

მდივანი: ბელა ხუბუა

17.02.2021 წელი